აწსუ–ს აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ

დეკემბერი, 2018 - იანვარი, 2019

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა გამოკითხვა აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ. კვლევის მიზანი იყო აწსუ-ში სამუშაო პირობებით კმაყოფილების, საუნივერსიტეტო პროცესებში აკადემიური პერსონალის ჩართულობის შესწავლა, უნივერსიტეტის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად, ონლაინ რეჟიმში. ელექტრონული გამოკითხვის ბმული დაეგზავნა თანამშრომლებს ელ.ფოსტებზე, წინასწარი შერჩევის გარეშე.

სულ გამოკითხულია 238 რესპონდენტი, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მიღებული შედეგების ანალიზი. გამოკითხულთა უმრავლესობა ასოცირებული პროფესორია – 52,6%, მოწვეულ სპეციალისტთა რაოდენობა 22,8% წარმოადგენს, 10,5% ასისტენტ პროფესორია, ხოლო პროფესორი – 14 %.

1. ფაკულტეტი:



2. თანამდებობა:



გამოკითხვის მონაწილეთა უმრავლესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია (70,1%), დარჩენილ 29,9% მამრობითი სქესი წარმოადგენს.

3. სქესი:



4. ასაკობრივი ჯგუფი:



გამოკითხულთა უმრავლესობას 46–დან 65 წლამდე ადამიანები წარმოადგენენ– 66,9%, 36–დან 45 წლამდე თანამშრომელთა რაოდენობა 18,6%-ია, 25–დან 35 წლამდე და 65 წელს ზემოთ თანამშრომელთა რაოდენობა 6,8%, ხოლო 25 წლამდე – 0,8%.

5. პედაგოგიური საქმიანობის საერთო გამოცდილება:



გამოკითხულთა უმრავლესობას – 58%, პედაგოგიური საქმიანობის 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს, 11–დან 20 წლამდე კი 22,7%–ს, რაც შეეხება გამოკითხულთა 10,1%–ს 5–დან 10 წლამდე , ხოლო ყველაზე მცირე, 5 წლამდე სამუშაო გამოცდილება 9,2%–ს.

6. აწსუ-ში მუშაობის ხანგრძლივობა:



აწსუ–ში 20 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება გამოკითხულთა ყველაზე მეტს, 44,5%–ს აქვს, 11–დან 20 წლამდე 30,3%–ს, 5–დან 10 წლამდე 15,1%–ს, ხოლო ყველაზე მცირე, 5 წლამდე 10,1%–ს.

7. აიმაღლეთ თუ არა კვალიფიკაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში?



გამოკითხულთა 68,9%–მა აიმაღლა კვალიფიკაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, ხოლო 31,1%–ს არ აუმაღლებია.

8. როგორ მიგაჩნიათ, პროფესიული საქმიანობისათვის რომელ სფეროში გესაჭიროებათ ცოდნის ამაღლება? (მიუთითეთ ყველა სასურველი ვარიანტი)



აკადემიური პერსონალი მიიჩნევს რომ პროფესიული საქმიანობისათვის ცოდნის ამაღლება სხვადასხვა სფეროში ესაჭიროებათ, მათ შორის უმრავლესობა თვლის რომ პირველ რიგში საჭიროა უცხო ენაში (68,9%), სწავლების თანამედროვე მეთოდებსა (42,9%) და კომპიუტერულ უნარ–ჩვევებში (16,8%). ასევე გამოიკვეთა სხვადასხვა მოსაზრებები, როგორიცაა: ეფექტური კომუნიკაცია (9,2%), პრეზენტაციის ხელოვნება (12,6%). გამოკითხულთა 8,4% მიიჩნევს რომ არცერთ სფეროში არ საჭიროებს ცოდნის ამაღლებას.

9. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული რომელი სერვისებით სარგებლობთ/გისარგებლიათ? (მიუთითეთ ყველა შესაბამისი პასუხი)



უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისებიდან, პერსონალი ყველაზე აქტიურად სარგებლობს ოფიციალური ვებ–გვერდით (96,6%), კორპორაციული ელ.ფოსტით (95%), საბიბლიოთეკო რესურსით (87,4%) და სოციალური დახმარების პროგრამით (52,9%). პერსონალი ასევე გამოჰყოფს სხვა სერვისებს, მათ შორის 38,7% მონაწილეობს შეხვედრებში საზოგადოების წარმომადგენლებთან და ტრენინგ–კურსებში (31,9%), ჩართულია პროფესიული წვრთნისა და გადამზადების პროგრამებში (23,5%), უცხო ენის შემსწავლელ კურსებში (16%) და გაცვლით პროგრამებში (8,4%).

10. რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობების შესახებ? (მიუთითეთ ყველა შესაბამისი პასუხი)



როგორც გამოკითხულთა 97,5% აღნიშნავს, უნივერსიტეტში დაგეგმილი ან მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაციას უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ–გვერდით იღებს, 95,8% კორპორაციული ელ.ფოსტით, 81,5% ფაკულტეტის/დეპარტამენტის ადმინისტრაციისაგან, უნივერსიტეტის ოფიციალური Facebook-გვერდიდან 57,1%, საინფორმაციო დაფებიდან 49,6%, ხოლო მობილური

აპლიკაცია ATSUNEWS-დან 25,2%. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთი ადამიანი ვერ იღებს ინფორმაციას.

შემდეგ კითხვაში რესპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ 1–დან 5 ქულამდე რამდენად ეთანხმებოდნენ სხვადასხვა მოსაზრებები, სადაც 1 ნიშნავდა არ ვეთანხმები, 5 სრულიად ვეთანხმები.



გამოკითხულთა უმრავლესობა სრულიად ეთანხმება რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს აკადემიური და მუშაობის შესაბამისი გარემოს განვითარებაზე. 76 მათგანი უფრო ეთანხმება, ვიდრე არა. მხოლოდ 2 ადამიანი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, 4–მა კი თავი შეიკავა პასუხისგან.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (188 ადამიანი) ეთანხმება რომ ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა ელ.ფოსტაზე, ინტერნეტსა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებზე, 34 უფრო ეთანხმება, ვიდრე არა.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (182 ადამიანი) სრულიად ეთანხმება რომ სამუშაო გრაფიკი არის მისაღები და ადეკვატური, 42 უფრო ეთანხმება, ვიდრე არა, მხოლოდ 2 ადამიანი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (108 ადამიანი) ეთანხმება მოსაზრებას, რომ შიდა კომუნიკაცია არის გამართული, ინფორმაციის ნაკადი უნივერსიტეტში არის ადეკვატური და ეფექტიანი, 58 მათგანი ნაწილობრივ ეთანხმება (4ქულით), მხოლოდ 4 ადამიანი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.



გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (104) სრულიად ეთანხმება რომ უნივერსიტეტში არსებობს ეფექტიანი და ქმედითი მმართველობითი სტრუქტურა, 98 კი ნაწილობრივ ეთანხმება (4ქულით), ამ მოსაზრებას მხოლოდ 1 ადამიანი არ ეთანხმება.

გამოკითხულთა უმრავლესობა სრულიად ეთანხმება რომ ადმინისტრაცია ღიაა ქვევიდან წამოსული ინიციატივებისათვის. ნაწილობრივ (4ქულით) 70.

გამოკითხულთაგან 94 ადამიანი სრულიად ეთანხმება მოსაზრებას რომ ადმინისტრაცია ხედავს და სათანადოდ აფასებს მოტივირებულ და აქტიურ თანამშრომლებს, 92 ადამიანის მოსაზრებით ნაწილობრივ (4ქულით), ხოლო 5 მათგანი არ ეთანხმება.

გამოკითხულთაგან 104 ადამიანი სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ თანამშრომლებს აქვთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა, ხოლო ნაწილობრივ 78 მათგანი ეთანხმება, ამ მოსაზრებას მხოლოს 6 ადამიანი არ ეთანხმება.



გამოკითხულთაგან 92 ადამიანი სრულიად ეთანხმება რომ უნივერსიტეტში არსებობს კარიერული განვითარების ობიექტური გარემო, უფრო ეთანხმება, ვიდრე არა 74 მათგანი, ხოლო 4 არ ეთანხმება.

110 გამოკითხულს სრულიად აქვს საკუთარი იდეების რეალიზაციის შესაძლებლობა უნივერსიტეტში, 84 ეთანხმება ამ მოსაზრებას.

გამოკითხულთა უმრავლესობა გრძნობს, რომ მისი სამუშაო მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის, რაშიც მეტ–ნაკლებად ეთანხმება 74 ადამიანი, ამ მოსაზრებას არ ეთანხმება მხოლოდ 4 მათგანი.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარს მოსწონს საკუთარ დეპარტამენტში არსებული ფსიქოლოგიური გარემო, 111 მათგან მეტ-ნაკლებად, ხოლო ამ მოსაზრებას არ ეთანხმება მხოლოდ 2.



გამოკითხულთა უმრავლესობას (150 ადამიანი) აქვს კოლეგების დახმარების იმედი საჭიროების შემთხვევაში, 85 მეტ–ნაკლებად ეთანხმება მოსაზრებას, 1–ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო 1 არ ეთანხმება.

გამოკითხულთა უმრავლესობა (154) აღნიშნავს რომ მათთვის კომფორტულია მუშაობა უშუალო ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში, მეტ–ნაკლებად ეთანხმება 81, ხოლო 2 არ ეთანხმება.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი სრულიად ეთანხმება მოსაზრებას რომ სამუშაო დატვირთვა თანამშრომლებს შორის ნაწილდება სამართლიანად, 120 მეტ–ნაკლებად ეთანხმება, ხოლო 4 არ ეთანხმება.

12. შეგქმნიათ თუ არა პრობლემები უნივერსიტეტის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულთან ურთიერთობისას?



გამოკითხულთა 95%-ს არ შექმნია პრობლემა არც ერთ სტრუქტურულ ერთეულთან, ხოლო 5%-ის მიერ კითხვაზე „დიახ“ პასუხის გაცემის შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა დაასახელა, რის შედეგადაც გამოიკვეთა ორი სტრუქტურული ერთეული: ბუღალტერია და საგამოცდო ცენტრი.

13. როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას?



გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად (5 ან 4 ქულით) აფასებს რექტორის აპარატის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფინანსური და მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების საქმიანობას.



გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (188 ადამიანი) დადებითად აფასებს საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის საქმიანობას, გამოკითხულთაგან 28 ადამიანმა შეიკავა თავი პასუხისაგან, რადგან სამსახურთან შეხება არ ჰქონია. ასევე დადებითად აფასებენ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის საქმიანობას.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (224 ადამიანი) დადებითად აფასებს საკუთარი ფაკულტეტის ადმინისტრაციის საქმიანობას.

ასევე დადებითად აფასებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახურის საქმიანობას, გამოკითხულთაგან 18 ადამიანმა შეიკავა თავი პასუხისაგან, რადგან აღნიშნულ სამსახურთან შეხება არ ჰქონია.



გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (198 ადამიანი) 5 ან 4 ქულით აფასებს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის საქმიანობას, გამოკითხულთაგან 26 ადამიანმა შეიკავა თავი პასუხისაგან, რადგან სამსახურთან შეხება არ ჰქონია.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს იურიდიული სამსახურის საქმიანობას, გამოკითხულთაგან 52 ადამიანმა შეიკავა თავი პასუხისაგან, რადგან აღნიშნულ სამსახურთან შეხება არ ჰქონია.

თითქმის ყველა გამოკითხული დადებითად აფასებს ბიბლიოთეკის საქმიანობას.



გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დადებითად აფასებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის საქმიანობას, გამოკითხულთაგან 41 ადამიანმა შეიკავა თავი პასუხისაგან, რადგან აღნიშნულ სამსახურთან შეხება არ ჰქონია.

ძირითადად დადებითად აფასებენ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის საქმიანობას, ხოლო 41 ადამიანმა შეიკავა თავი პასუხისაგან, რადგან სამსახურთან შეხება არ ჰქონია.

გამოკითხულთა უმრავლესობა ასევე დადებითად აფასებს კანცელარიის მუშაობას.



უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობას დადებითად აფასებს გამოკითხულთა დიდი ნაწილი, 33 ადამიანმა შეიკავა თავი პასუხისაგან, რადგან აღნიშნულ სამსახურთან შეხება არ ჰქონია.

დოქტორანტურის განყოფილების საქმიანობას დადებითად აფასებს გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (190 ადამიანი).

ძირითადად დადებითად აფასებენ ჟურნალი „მოამბე“-ს საქმიანობას, თუმცა 48 ადამიანმა შეიკავა თავი პასუხისაგან, რადგან შეხება არ ჰქონია. დადებითად აფასებენ ასევე, გაზეთი ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს საქმიანობას და პასუხისაგან თავი შეიკავა 46-მა ადამიანმა.



ძირითადად დადებითად აფასებენ არქივის, რეიტინგული შეფასებისა და კომპიუტერული ცენტრების საქმიანობას.



გამოკითხულთა უმრავლესობა (209 ადამიანი) დადებითად აფასებს გამომცემლობის საქმიანობას. ასევე ძირითადად დადებითად აფასებენ სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა და ენათა ცენტრის საქმიანობას.

14. თქვენი აზრით, საუნივერსიტეტო ცხოვრების რომელი ასპექტები საჭიროებენ პირველ რიგში გადაწყვეტას? (მიუთითეთ პასუხის მაქსიმუმ სამი ვარიანტი)



გამოკითხულთა უმრავლესობის (85,7%) აზრით პირველ რიგში აუცილებელია სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები, 56,3% შემდეგ მოსაგვარებელ საკითხად მიიჩნევს შრომის ანაზღაურებას, 53,8% ინფრასტრურქტურის გაუმჯობესებას და 44,5% თანამედროვე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფას. ასევე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის: დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (36,1%), პრაქტიკის ორგანიზაცია (29,4%), სასწავლო კურსების შინაარსი (20,2%), მეცადინეობებზე დასწრების კონტროლი (20,2%), ასევე აუდიტორიების რაოდენობა (12,6%) და მეცადინეობების განრიგი (10,1%).

15. როგორც, უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში?



გამოკითხულთა 26,9%–ს მიღებული აქვს მონაწილეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვაგვარი საკითხების განხილვაში.

16.1. გაგიწევიათ თუ არა საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურეობა, ჩაგიტარებიათ კვლევები სხვა ინსტიტუციისათვის ან ცალკეული იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის?



გამოკითხულთა 31,9%–ს გაუწევია საექსპერტო ან საკონსულტაციო მომსახურეობა, ჩაუტარებია კვლევები სხვა ინსტიტუციისათვის ან ცალკეული იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის.

16.2. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობ ღონისძიებებში?



გამოკითხულთა 47,1%-ს მონაწილეობა აქ მიღებული სხვადასხვაგვარ სწავლის ხელშემწყობ ღონისძიებაში, როგორიცაა: ტრენინგები, სემინარები, საჯარო ლექციები, ყოველწლიური სამეცნიერო პიკნიკები, სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები და ა.შ.

17. აწსუ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა წათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული, სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.



გამოკითხულთა 57,1% თვლის რომ უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული, 42% მიიჩნევს რომ ნაწილობრივ არის კოორდინირებული ფუნქცია–მოვალეობები, მხოლოდ 0,9% არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას.

18. აწსუ მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.



რესპონდენტთა 94,1% მიიჩნევს რომ მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი, ხოლო 5,9% არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას.

19. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პროცესი?

ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების, საგრანტო კონკურსების, საერთაშორისო კონფერენციების და ა.შ. შესახებ?



გამოკითხულთა 58%–ისთვის ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის შესახებ სრულიად ხელმისაწვდომია, 40,3%–თვის ნაწილობრივ, ხოლო შედარებით მცირე, 1,7%–თვის არ არის ხელმისაწვდომი.

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო მობილობის პროგრამაში?



გამოკითხულთა მხოლოდ 5,9% აქვს მიღებული მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო მობილობის პროგრამაში, მათ შორის აქტიურად ერასმუსის პროგრამებში.

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში?



გამოკითხულთა 14,3% მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში.

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო შემოქმედებით აქტივობებში?



გამოკითხულთა 31,1%–ს მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო/ სახელოვნებო შემოქმედებით აქტივობებში.

20. მონაწილეობთ თუ არა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესში (პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო კურსების განხილვა/შემუშავება, გამოკითხვებში მონაწილეობა და ა.შ.) ?



რესპონდენტთა 81,5% აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესში, 16,8% იშვიათად მონაწილეობს, ხოლო 1,7% არასდროს მიუღია მონაწილეობა.

21. მონაწილეობთ თუ არა უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სერვისების შეფასებისა და განვითარების პროცესებში (გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები, განხილვები და ა.შ.)?



გამოკითხულთა 68,1% ხშირად მონაწილეობს უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სერვისების შეფასებისა და განვითარების პროცესებში, 29% იშვიათად ერთვება, ხოლო 2,5% არასდროს.

22. იცნობთ თუ არა აკადემიური თავისუფლების პრინციპებს?



გამოკითხულთა უმრავლესობა, 63%, სრულიად იცნობს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, 26,9% ნაწილობრივ. შედარებით მცირე რაოდენობას, 6,7% –ს სმენია ამის შესახებ, ხოლო 3,4% არ იცნობს.

23. იცნობთ თუ არა აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს, პლაგიატის შესახებ არსებულ რეგულაციებს?



რესპონდენტთა 69,7% სრულიად იცნობს აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს, პლაგიატის შესახებ არსებულ რეგულაციებს, 25,2% ნაწილობრივ. 5,1%–ს კი სმენია.

24. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ პერსონალის სამსახურში მიღების წესი არის გამჭვირვალე და ობიექტური, უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას?



გამოკითხულთა 91,6% თანხმდება, რომ პერსონალის სამსახურში მიღების წესი არის გამჭვირვალე და ობიექტური, უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, ხოლოდ 8,4% არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას და გამოთქვამს შემდეგ შენიშვნებს:

- ✓ აკადემიური პერსონალის მიღებისათვის საჭირო კონკურსებისას შრომების ჩამონათვალის გარდა საჭიროა კანდიდატის საკომუნიკაციო უნარები, ლექციისა და სემინარების წაყვანის უნარის შეფასებაც;
- ✓ სასურველია უცხოური გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება;
- ✓ კვალიფიციური კადრების გაზრდის მიზნით უმჯობესია სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების/ პროგრამების განხორციელება;

- ✓ მნიშვნელოვანია სტუდენტთა მონაწილეობის გაზრდა საგრანტო პროგრამებში, სტაჟირებებსა და გაცვლით პროექტებში, ასევე წარმატებული კურსდამთავრებულების მოზიდვა.

25. როგორ მიგაჩნიათ, უზრუნველყოფს თუ არა უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი და სხვ.) საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებს?



გამოკითხვაში მონაწილეთა 76,5% თვლის, რომ უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებს, 14,3%–ის მოსაზრებით სრულიად უზრუნველყოფს, 5,8%–ის აზრით ვერ უზრუნველყოფს, ხოლო 3,4% თავს იკავებს პასუხისაგან.

რესპონდენტებს ვთხოვეთ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა შეეფასებინათ 1 – დან 5 ქულამდე, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან ცუდს, ხოლო 5- ძალიან კარგს.

26. როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას?



გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურას მაქსიმალური ქულით აფასებს, ისევე როგორც სამკითხველო დარბაზებს. სასწავლო აუდიტორიებს ძირითადად 4 ან 3 ქულით აფასებენ.



საპროფესოროებს უმრავლესობა დადებითად აფასებს (4 ქულით), ასევე მცირე ნაწილი 3 და შედარებით ნაკლები 5 ქულით.

გამოკითხულები ჰიგიენურ კვანძებს ძირითადად 3 ან 4 ქულით აფასებენ, ისევე როგორც სარეკრეაციო ზონებს.



გამოკითხულთა უმრავლესობა სააქტო და საკონფერენციო დარბაზებს მაქსიმალური ქულით აფასებს, ასევე კომპიუტერული კლასების შეფასება ძირითადად 4-5 ქულას მოიცავს.

გამოკითხვაში მონაწილეთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებს, ისევე როგორც სპორტულ მოედნებს.

27. როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების სერვისის ეფექტურობას?



სამედიცინო დახმარების სერვისი დადებითად გამოკითხულთა 38,7%–მა შეაფასა, საშუალოდ 33,6%–მა, უარყოფითად 4,2%–მა, ხოლო გამოყენების საჭიროება არ ჰქონია 23,5%–ს, რის გამოც პასუხის გაცემაზე თავი შეიკავეს.

28. ეცნობით თუ არა ინფორმაციას საუნივერისიტეტო და საფაკულტეტო გამოკითხვების შედეგების შესახებ?



ასევე კითხვაზე ეცნობიან თუ არა ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს 31,9%-მა უპასუხა, რომ ყოველთვის, 58% ეცნობა პერიოდულად, 6,7% არ ეცნობა, ხოლო 3,4%-ის აზრით არ აქვს წვდომა ინფორმაციაზე.

დასასრულს, რესპონდენტებს ვთხოვეთ გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები უნივერსიტეტში სამუშაო გარემოსა და პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. გამოკითხვაში მონაწილე თანამშრომლებმა გამოთქვეს შემდეგი სურვილები და რეკომენდაციები:

- ✓ მეცადინეობებზე სტუდენტების დასწრების კონტროლის მექანიზმის შემუშავება;
- ✓ ლაბორატორიებისა და კაბინეტების სრულყოფა თანამედროვე აუდიო-ვიზუალური და ტექნიკური საშუალებებით;
- ✓ თანამშრომლებისათვის პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნა;
- ✓ პერსონალისთვის ხელის შეწყობა კვალიფიკაციის ამაღლებასა და უცხო ენის შესწავლაში.

ზოგადი მიგნებები და ტენდენციები

1. გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა კმაყოფილია აწსუ-ში სამუშაო გარემოთი და პროფესიული განვითარებისათვის არსებული პირობებით.

2. აკადემიური პერსონალის უმრავლესობა დადებითად აფასებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მუშაობას, ამასთანავე წინა გამოკითხვასთან შედარებით უფრო მცირე ნაწილს შექმნია გარკვეული სახის პრობლემები.

3. გამოკითხვამ აჩვენა, რომ წინა წლებთან შედარებთ თანამშრომლები აქტიურად იყენებენ კორპორაციულ ელ.ფოსტას და ოფიციალურ ვებ-გვერდს ინფორმაციის მისაღებად, ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა აპლიკაცია ATSUNEWS-ის მომხმარებელთა რიცხვი.

4. აკადემიური და მოწველი პერსონალის უმრავლესობას უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში პროფესიული კვალიფიკაცია ამაღლებული აქვს, თუმცა კვლავ აქტიურადაა დაინტერესებულია ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებით.

5. პერსონალის უმრავლესობა ჩართულია სხვადასხვა ტიპის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, გაუწევია საექსპერტო ან საკონსულტაციო მომსახურეობა, ჩაუტარებია კვლევები, მიღებული აქვს მონაწილეობა სწავლის ხელშემწყობ ღონისძიებებში.

6. აკადემიური პერსონალი კმაყოფილია უნივერსიტეტში არსებული ან გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით, თუმცა მათი აზრით, საჭიროა სასწავლო აუდიტორიების სრულყოფა თანამედროვე აუდიო-ვიზუალური და ტექნიკური საშუალებებით, ასევე სამეცნიერო ლაბორატორიების უზრუნველყოფა და ჰიგიენური კვანძების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

7. სამწუხაროდ, კვლავინდებურად დაბალია აწსუ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო კვლევებში. სასურველია, აწსუ აკადემიური და მოწვეული პერსონალი გადამზადდეს პროეტების წერისა და ფანდრაიზინგის საკითხებში. ასევე, კვლავინდებურად აქტუალურია თანამშრომელთათვის უცხო ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება.